ეკონომიკური ნატო

ანალიტიკური დოკუმენტი N1

ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება

პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები



EPRC
Economic Policy Research Center

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება

პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები

მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

თბილისი

2016

სარჩევი

რეზიუმე 6

შესავალი 8

ჰიბრიდული ომის განსაზღვრება 10

„გერასიმოვის დოქტრინა“ 16

შედეგები საქართველოსთვის 19

ეკონომიკური შედეგები საქართველოსთვის 27

ეკონომიკური შედეგები - შეჯამება 35

დასკვნა/პოლიტიკის რეკომენდაციები 37

ავტორები:
გრიგოლ მგალობლიშვილი
ბათუ ქუთელია
ირინა გურული
ნინო ევგენიძე

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)

პროექტის შესახებ

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა პროექტის „ეკონომიკური ნატო (საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ეკონომიკური პერსპექტივა)“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია (1) პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის კვალიფიციური ანალიზისა და პროგნოზის მომზადება იმის თაობაზე, თუ რა ეკონომიკურ ზეგავლენას მოახდენს საქართველოზე ნატოში გაწევრიანება; (2) საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საჯარო სივრცეში მიმდინარე დისკუსიების თვისობრივი გაუმჯობესება კვალიფიციური ეკონომიკური ანალიზით; (3) წამყვანი ეროვნული აქტორების - პოლიტიკის შემმუშავებლების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება საქართველოს ნატოში გაწევრიანების ეკონომიკური სარგებლის თაობაზე.

რეზიუმე

დღეს, ევროპის მომავალი მის აღმოსავლეთ საზღვართან - დემოკრატიული ფრონტის წინა ხაზზე ყალიბდება. ფრონტისპირა ეს ახალგაზრდა დემოკრატიები მრავალი პრობლემის (დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობიდან დაწყებული ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფით დამთავრებული) წინაშე დგანან. ეს პრობლემები შინაარსით ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ განსხვავდება ცალკეული ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე ზეგავლენის ხარისხით.

რუსეთის განახლებულმა ექსპანსიონიზმმა კატალიზატორივით იმოქმედა და ევროპული დემოკრატიის გაფართოების, მხარდაჭერის და დაცვის საქმეში სტრატეგიული ნაკლოვანებები და ტაქტიკური ხარვეზები გამოავლინა. საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას და სხვა ფრონტისპირა ქვეყნებს, რომლებსაც სამხედრო აგრესიის საფრთხე ემუქრებათ, რომელთა ტერიტორიები ოკუპირებული და ანექსირებულია, რომლებიც საინფორმაციო ომს, ეკონომიკურ კრიზისს და უსაფრთხოების ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგიის ნაკლებობას განიცდიან, მყარად აქვთ გადაწყვეტილი, ააშენონ სტაბილური, თავისუფალი და წარმატებული საზოგადოებები ადამიანის უფლებების უნივერსალურ ღირებულებებსა და ღირსებაზე დაყრდნობით. საქართველოს, უკრაინის, მოლდოვისა და სხვა ფრონტისპირა ქვეყნების სახელმწიფოებრიობისთვის ეს ეგზისტენციალური ბრძოლაა; ევროკავშირისა და ნატოს ახალი წევრებისთვის - აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის, ტრანსატლანტიკური ერთობის პირველი მთავარი ტესტი, დაიცვას მისი მოკავშირეები, ხოლო ევრო-ატლანტიკური ოჯახის დამფუძნებელი ძველი წევრებისთვის, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეის ძირეული კურსისა და მიმზიდველობის ეჭვქვეშ დაყენება.

უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი სისუსტე შეთანხმებული სტრატეგიის და პოლიტიკური არჩევანის

ფორმირებისთვის საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდირების და სტრატეგიული კომუნიკაციის უუნარობაა.

დასავლური სამყაროს თავისუფალი ინსტიტუტების წინააღმდეგ რუსეთის მზარდ აგრესიასთან დაპირისპირება მხოლოდ კონტრძალის უწყვეტი და ფრთხილი გამოყენებით შეიძლება, რომელიც თავისუფლების და ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპების ირგვლივ გაერთიანებული დასავლური სამყაროს პროაქტიურ სტრატეგიებს დაეფუძნება. არსებული ვითარების გათვალისწინებით, წინამდებარე დოკუმენტში შემოთავაზებულია ერთიანი პოლიტიკის რეკომენდაციები, რომლებიც გააააქტიურებს ხალხისა და მთავრობის მხრიდან დასავლური პოლიტიკური კურსის მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს დასავლური დემოკრატიების ფუძემდებლური ლიბერალური იდეების პოპულარიზაციას, რაც დასავლეთის წინააღმდეგ მზარდ და გაძლიერებულ რუსულ პროპაგანდასთან გამკლავების ერთ-ერთი გზაა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო ყველაზე მეტად სავაჭრო და ფულადი გზავნილების არხებით არის რუსეთზე დამოკიდებული; ამრიგად, რუსეთი საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა. რუსეთის ბაზარი ძალიან არასტაბილური და პოლიტიზებულია და შესაბამისად საკმაოდ არასაიმედო საქართველოს კერძო სექტორისთვის. რთულია, სავაჭრო არხებით საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების უგულებელყოფა. რუსეთის ხელისუფლებას ამ ბერკეტის ორგვარად გამოყენება შეუძლია - კიდევ ერთი ემბარგოს დაწესებით ან სავაჭრო პირობების გაუარესებით, რასაც ევრაზიული საბაჟო კავშირის ჩარჩოში ახალი სავაჭრო შეზღუდვების დაწესებით განახორციელებს. თუმცა, რუსეთის ეკონომიკური ზრდის შემცირება თუ გაგრძელდა, მასზე დაწესებული სანქციებისა და ნავთობზე ფასების ვარდნის შედეგად, ეს ბუნებრივად გამოიწვევს რუსეთში ექსპორტის და რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირებას.

შესავალი

რევიზიონისტული რუსეთის აღმოცენებამ და სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად ჰიბრიდული საშუალებების გამოყენებამ, ომის ტრადიციული, დასავლური გაგება შეარყია. მეტიც, მოვლენების ასეთმა განვითარებამ აჩვენა დასავლური ინსტიტუტების მოუმზადებლობა, გაუმკლავდეს ასეთ გამოწვევებს და გააშიშვლა ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების არსებული არქიტექტურის სუსტი მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომის არც კონცეფცია და არც არსი სრულიად ორიგინალური არ არის, მას ისეთი ნიშნები აქვს, რომლებიც ომის წარმოების რუსეთისეული ახალი მოდელისთვის არის დამახასიათებელი. არასამხედრო საშუალებების იარაღად გამოყენება აშკარად 21-ე საუკუნის დამახასიათებელი ნიშანია.[1]

მართალია, ომის ბუნება არ შეცვლილა და „ხალხი, დღეს, იმავე ფუნდამენტურ მიზეზთა გამო ომობს, რომლებიც 2,500 წლის წინ ბერძენმა ისტორიკოსმა თუკიდიდემ განსაზღვრა - შიში, ღირსება და ინტერესი,“[2] იცვლება კონფლიქტის ხასიათი. კონფლიქტის ახალი ფორმა, რომელსაც ჰიბრიდული ომი შეარქვეს, ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტეტურის სისუსტეებს იყენებს, რადგან ბრძოლის ეს ფორმა არასამხედრო საშუალებებს ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც სამხედრო საშუალებებს. შეიძლება ითქვას, რომ არასამხედრო საშუალებები, ზოგ შემთხვევაში, სამხედრო საშუალებებზე უფრო ეფექტიანიც კი არის პოსტ-საბჭოთა სივრცეში „არალოიალური“ მეზობლების დასამორჩილებლად ანდა უსაფრთხოების მთავარი ალიანსის, ნატოს, „ქაღალდის ვეფხვად“ გადასაქცევად. მიზეზი საკმაოდ მარტივია. ერთი მხრივ, არასამხედრო საშუალებების გამოყენება რუსეთს გლობალიზებული სამყაროს შიგნიდან მანიპულირების შესაძლებლობას აძლევს,[3] მეორე მხრივ

1 Pomerantsev, The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes, Information, Culture and Money, The Interpreter, 2014.
2 McMaster, H.R. The Pipe Dream of Easy War, July 20, 2013.
3 Pomerantsev, The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes, Information, Culture and Money, The Interpreter, 2014.

კი, აშიშვლებს უსაფრთხოების დასავლური ინსტიტუტების უუნარობას, გაუმკლავდნენ ამ საფრთხეებს ისე, როგორც ამას მათი წინამორბედები „ცივი ომის“ დროს ახერხებდნენ.

ჰიბრიდული ომის, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმის, აღმოცენება ძირეულად ცვლის უსაფრთხოების არსებულ ლანდშაფტს და უამრავ კითხვას აჩენს არა მარტო იმ საფრთხეების ბუნების შესახებ, რომელთა წინაშეც ვდგავართ, არამედ უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობების შესახებ, წინ აღუდგეს ამ საფრთხეებს. ეს უდავოდ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარე დებატებზე, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოახდენს გავლენას გაფართოებული შეკავების იდეის საიმედოობასა და ალიანსის უნარზე, ეფექტიანად აღუდგეს წინ ამ გამოწვევებს. როგორც ჟურნალ „ეკონომისტის“ პუბლიკაციაში მკაფიოდ ითქვა: ალიანსის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ, „მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დაწესებულ ზღვარს გადალახავს“.[4]

ამრიგად, ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა არსებობს, რომლებზეც საჭიროა დაფიქრება:

- როგორ განვსაზღვრავთ ჰიბრიდულ გამოწვევებს? ეს გამოწვევები ახალი ფენომენია თუ მივიწყებული ძველი? რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?
- როგორ შეიცვალა რუსეთის სამხედრო აზროვნება ბოლოდროინდელი კონფლიქტების დროს? რა გავლენას ახდენს ან მოახდენს ეს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურაზე?
- რა როლს ასრულებს ნატოში გაწევრიანების პროცესი ასპირანტი ქვეყნების უნარების გაძლიერებაში, დაუპირისპირდნენ თანამედროვეობის ამ გამოწვევებს, განსაკუთრებით, თანამედროვე

4 How the NATO’s Article 5 works, The Economist, March 9, 2015

კონფლიქტებში არასამხედრო საშუალებების იარაღად გამოყენების საფრთხეს?

- დაცულია თუ არა საქართველო ამ გამოწვევების წინაშე და როგორ შეუძლია მას წინ აღუდგეს თანამედროვე ომში არასამხედრო საშუალებების მზარდ გამოყენებას?

ჰიბრიდული გამოწვევების შესწავლა მნიშვნელოვანია ნატოში ინტეგრირების პროცესის ყოვლისმომცველი ანალიზისთვის საფუძვლის მოსამზადებლად, განსაკუთრებით, „უსაფრთხოების“ უფრო ფართო კონცეპტუალიზაციის პირობებში, რაც არა მარტო ტრადიციულ, „უხეშ“ ფაქტორებს მოიცავს, არამედ უსაფრთხოების „რბილ“ ანუ, არასამხედრო კომპონენტებსაც, რომლებიც ასე ხშირად რჩება პოლიტიკის შემმუშავებლებისა და ფართო საზოგადოების განსჯის მიღმა. ის ასევე შესაძლებლობას იძლევა, მეტი ფოკუსირება მოხდეს თანამედროვე კონფლიქტის ცვალებად ხასიათზე, რომელშიც არასამხედრო საშუალებები სულ უფრო დიდ როლს თამაშობს. შესაბამისად, ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილების შესწავლა უდავოდ შეიტანს წვლილს ეკონომიკური ნატოს კვლევაში, რომლის მიზანიც არის, გააუმჯობესოს საჯარო დისკუსიების ხარისხი ალიანსის გაფართოების პროცესის შესაძლო შედეგების თაობაზე.

ჰიბრიდული ომის განსაზღვრება

ომის სხვადასხვა ფორმას შორის განსხვავების ელიმინაცია და ის რისკები, რასაც ეს პროცესები ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის საიმედოობას უქმნის, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომლის წინაშეც ვდგავართ. ჰიბრიდული ომი, რასაც კონფლიქტის ბუნების ცვლილების აღსანიშნად იყენებენ, ახალ მოდურ სიტყვად იქცა და მას მისტიკურობის საბურველი უნდა ჩამოეხსნას, რათა ამ გამოწვევის დაძლევის გზები განისაზღვროს. უსაფრთხოების ბევრი

ანალიტიკოსი აღიარებს, რომ „კონფლიქტის ხასიათის ცვლილება, რისი მომსწრენიც ვართ, ყველაზე უკეთ შეიძლება სიტყვით „კონვერგენცია“ აღიწეროს - ფიზიკური და ფსიქოლოგიური, კინეტიკური და არაკინეტიკური და საომარი და არასაომარი კონცეფციების კონვერგენცია“.[5] უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ომის ხასიათის ცვლილება კონცეფციიდან რეალობად გადაიქცა, რადგან ვხედავთ, როგორ იზრდება ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ისეთი კონფლიქტების რაოდენობა, რომლებიც „არ ჯდება ომის დასავლურ კატეგორიებში“.[6] რამდენად ორიგინალურია ჰიბრიდული ომის იდეა და რატომ აყენებს ის ევრო-ატლანტიკურ არქიტექტურას ეჭვქვეშ ის ორი მთავარი კითხვაა, რომლებზე პასუხის გაცემას მომდევნო თავებში ვცდილობთ.

ჰიბრიდული ომის შესახებ წარმოდგენა ბოლო წლების კონფლიქტების ანალიზიდან არის მიღებული, რომლებშიც სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად ომის ფორმების განზრახ აღრევას ვხედავთ.[7] ფრენკ ჰოფმანის თანამედროვე კონფლიქტების სხვადასხვა ფორმის ანალიზში ჰიბრიდული საფრთხეები შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

ჰიბრიდული საფრთხეებია, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური ქცევის შესაბამის კომბინაციას და საომარი მოქმედებების სივრცეს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.[8]

ფრენკ ჰოფმანი იმასაც აღიარებს, რომ „ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრების პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციაზე, რომლებიც ძალადობასა და ომთან (კრიმინალური ქმედებების გამოკლებით) არის ასოცირებული, მაგრამ საერთოდ არ მოიცავს სხვა, არაძალადობრივ ქმედებებს“.[9]

---

5 Hoffman, F.G. Hybrid Warfare and Challenges, JFQ / issue 52, 1st quarter 2009, 34
6 Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014.
7 იქვე.
8 იქვე.
9 იქვე.

ჩვენ სრულად ვეთანხმებით ჰიბრიდული ომის განსაზღვრების ამ პრობლემური ასპექტის ჰოფმანისეულ შეფასებას. ჰიბრიდული ომის დახასიათება როგორც ომისა, რომელიც რეგულარული და არარეგულარული საშუალებების, ფარული და ღია ქმედებების და უსაფრთხოებისთვის ტრადიციული და არატრადიციული საფრთხეების კომბინაციას წარმოადგენს, მას ომის ისეთ კატეგორიაში აქცევს, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა. ის, რაც ჰიბრიდულ გამოწვევებს აშკარად ახალ ფენომენად აქცევს, არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობის ზრდაა. ეს ომის თანამედროვე ფორმაა, რომელიც უმთავრესად ფოკუსირებულია სტრატეგიული ამოცანების მიღწევაზე ფიზიკური დაპირისპირების გარეშე, განსაკუთრებით, კონფლიქტის საწყის ეტაპზე.

სამეზობლოში რუსეთის ქცევის მოდელის კონცეფცია ეგრეთ წოდებულ „გერასიმოვის დოქტრინაშია“ მოცემული, რასაც დეტალურად მომდევნო თავებში გავაანალიზებთ. ეს „დოქტრინა“, რომელიც რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა სტატიის სახით გამოაქვეყნა ნაკლებად ცნობილ რუსულ თავდაცვის ჟურნალში, ყურადღებას ამახვილებს სამხედრო საშუალებების მნიშვნელობის კლებაზე ომის პოლიტიკური ამოცანების მიღწევაში. ჰიბრიდული კონფლიქტის ეს მკაფიო მახასიათებელი, როდესაც სტრატეგიული ამოცანების მიღწევაში არასამხედრო საშუალებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, სახელწიფოს საფუძვლების შერყევისკენ არის მიმართული, რათა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად სამხედრო საშუალებების გამოყენება არ გახდეს საჭირო.[10] როგორც ჯეიმს შერი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, თანამედროვეობის კონფლიქტის ჰიბრიდული საშუალებების „მიზანია, დაასუსტოს სახელმწიფო მანამ, სანამ სახელმწიფო მიხვდება, რომ კონფლიქტი დაწყებულია“.[11] რუსეთის მიერ მის სამეზობლოში გაჩაღებულ ჰიბრიდულ ომს რამდენიმე მახასიათებელი აქცევს გამორჩეულად და არა რეგულარული და არარეგულარული

10 Dempsey, J. Will Hybrid War Defeat Europe?April 29, 2015
11 Anonymous 2015, 1

საშუალებების კომბინაცია, რისი მაგალითებიც ბევრჯერ ყოფილა ისტორიაში.

ჯერ ერთი, რუსეთის ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელია ომსა და მშვიდობას შორის ზღვარის მიზანმიმართული წაშლა. ომის მდგომარეობასა და მშვიდობიანობას შორის ზღვარის გაბუნდოვანება შესაძლებლობას აძლევს რუსეთის ხელმძღვანელობას „შეარყიოს და გაანადგუროს სახელმწიფოები პირდაპირი, ღია და ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის გარეშე“.[12] თანამედროვე კონფლიქტებში ომი პირველი ტყვიის გასროლამდე ბევრად ადრე იწყება. რუსეთის ხელმძღვანელობამ ომის ეს შეცვლილი მოდელი გერასიმოვის დოქტრინამდე ბევრად ადრე აამოქმედა. საქართველოში რუსეთის 2008 წლის აგრესიასთან დაკავშირებით ევროკავშირის ფაქტების დამდგენმა მისიამ ცალსახად დაადგინა, რომ საკუთრივ სამხედრო ოპერაცია მხოლოდ „დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დაძაბულობების, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია“ იყო,[13] რაც იმის აღიარებაა, რომ ომი პირველი ტყვიის გასროლამდე ბევრად ადრე დაიწყო. მოგვიანებით, ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებულმა აგრესიამ მკაფიოდ აჩვენა, რომ სტრატეგიული ამოცანების განხორციელებაში მოსკოვი სულ უფრო აქტიურად იყენებს პოლიტიკურად ფოკუსირებული ოპერაციების ახალ ფორმებს.[14]

მეორე, ჰიბრიდულ ომში მოწინააღმდეგის დამორჩილების არასამხედრო საშუალებები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სამხედრო საშუალებები, ან ზოგ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანიც კი. გერასიმოვის თანახმად, „პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში არასამხედრო საშუალებების როლი გაიზარდა და თავისი ეფექტურობით ამ საშუალებებმა, ბევრ შემთხვევაში, იარაღის ძალასაც

12 Galeotti, M. The ‘Gerasimov Doctrine’ and Russian Non-linear War, 2014.
13 საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში; გვ. 13.
14 Galeotti, M. The ‘Gerasimov Doctrine’ and Russian Non-linear War.

კი გადააჭარბა“.[15] ეს არის ის ძირეული ცვლილება, რომელსაც თანამედროვე ომის ტრანსფორმირებად ხასიათში ვხედავთ. რუსეთის თანამედროვე სტრატეგია ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მოწინააღმდეგის სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევა ყველაზე კარგად არასამხედრო საშუალებებით მიიღწევა. შედეგად, სამხედრო მეთოდების გამოყენება აღარ არის აუცილებელი. მართალია, უკვე „რუსეთის 2010 წლის სამხედრო დოქტრინაში თანამედროვე ომი აღწერილია, როგორც სამხედრო ძალის და არასამხედრო ძალისა და რესურსების ინტეგრირებული გამოყენება“,[16] მაგრამ დღეს ვხედავთ არა ამ საშუალებების უბრალოდ ინტეგრირებულ გამოყენებას, არამედ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ეროვნული ძალის არასამხედრო ასპექტების სულ უფრო აქტიურად გამოყენების მკაფიო ტენდენციას. რაც უფრო მნიშვნელოვანია, არალოიალური მეზობლების დასამორჩილებლად არასამხედრო საშუალებების ერთ-ერთ მთავარ იარაღად გამოყენების მნიშვნელობის ზრდმა ეს კონცეფცია რეალობად აქცია, რისი მკაფიო მაგალითიც რუსეთის აგრესიაა საქართველოსა და უკრაინაში.

რუსული ჰიბრიდული ომის მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მახასიათებელი ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებების გამოყენებაა. პრაქტიკაში ეს ნიშნავს რუსული სამხედროების გამოჩენას, მაგალითად, ყირიმში, ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, „შენიღბული სახეებით, ფარული მართვითა და კონტროლით, ფარული ბრძანებებით, მაგრამ უდავოდ ამოქმედებული სახელმწიფო მიზნების მისაღწევად“.[17] სამხედრო ოპერაციებში ისეთი ძალების გამოყენება, რომლებსაც ამოსაცნობი ნიშნები არა აქვთ, შესაძლებლობას აძლევს მოსკოვს, უარყოფის აქტიური კამპანია აწარმოოს, რომლის მიზანია, შენიღბოს მისი სამხედრო ჩარევის მასშტაბი. მაგალითად, 2015 წლის 16 აპრილს, ტელევიზიით გამოსვლისას, პუტინმა საჯაროდ უარყო რუსული სამხედრო შენაერთების ყოფნა უკრაინაში.

15 იქვე.
16 Kofman, M. and Rojansky, M. A Closer look at Russia’s ‘hybrid War’, No.71 April, 2015.
17 Washington Post, March 9, 2014

ფაქტებით ასეთი მანიპულირება რუსეთს შესაძლებლობას აძლევს, „ნეიტრალური მედიატორის“ როლი ითამაშოს კონფლიქტისშემდგომ მოლაპარაკებებში.

და მეოთხე, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ასეთი არასწორხაზოვანი საშუალებების აქტიური გამოყენება არარეგულარული ომის წარმოების ჩვეულ მოდელს ცვლის. ისტორიულად, არაკონვენციურ მეთოდებს კონფლიქტში მონაწილე სუსტი მხარე იყენებდა მოწინააღმდეგის დიდ უპირატესობასთან გასამკლავებლად, რაც ამ უკანასკნელის ხანგრძლივ კონფლიქტში ჩათრევით გამოიხატებოდა. რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში, იმის ნაცვლად, რომ არაკონვენციური მეთოდები სუსტმა მხარემ გამოიყენოს, მათ წარმატებით კონფლიქტში უპირატესობის მქონე მხარე იყენებს.[18] რუსეთის მიერ არაკონვენციური საშუალებების სულ უფრო აქტიური გამოყენება სუსტი მოწინააღმდეგის მიმართ, მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს არარეგულარული ომის წარმოების ჩვეულ მოდელში.

მიუხედავად ამ მახასიათებლებისა, უსაფრთხოების სფეროს მრავალ ანალიტიკოსს ეჭვი ეპარება „ჰიბრიდული ომის“ შესაფერისობაში და მას არაზუსტ ტერმინად მიიჩნევს ან უბრალოდ, იარლიყად, რაც მიაკერეს უკრაინაში რუსეთის ქმედებებს, რომლებიც უბრალოდ ომის ადრე განსაზღვრული ტიპების - კონვენციურის, არარეგულარულის, პოლიტიკურისა თუ ინფორმაციულის - კომბინაციას აღნიშნავს.[19] თავი რომ დავანებოთ „ჰიბრიდული ომის“ იდეის ორიგინალობაზე კამათს, ომის შეცვლის რუსული მეთოდები ორ შემაშფოთებელ ტენდენციას აჩვენებს. პირველი, ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტებმა არ იციან, როგორ დაუპირისპირდნენ ჰიბრიდული საფრთხეების შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებს. ამ ინსტიტუტების

18 ნორვეგიის თავდაცვის მინისტრი, ინე ერიკსენ სორაიდე, მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2015.
19 Kofman, M. and Rojanski, M. A Closer Look at Russia's Hybrid warfare, Kennan Cable, No. 7 1 April 2015.

გადაწყვეტილების მიღების სისტემა ძალიან ეფექტიანია ადვილად ამოსაცნობი საფრთხეების დროს. თუმცა, როდესაც ეს გამოწვევები არასამხედრო ხასიათისაა და შესაბამისად, რთულად ამოსაცნობი, ბევრად უფრო ძნელია, პასუხის შემუშავება და წინააღმდეგობის ეფექტიანად გაწევა. როგორც ჟურნალ ეკონომისტის ბოლოდროინდელ პუბლიკაციაში მკაფიოდ იყო ნათქვამი, „მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დაწესებულ ზღვარს გადალახავს“.[20] მოსკოვის სტრატეგია კი ზუსტად ამ სისუსტეების გამოყენებაზეა ორიენტირებული. მეორე, რუსები უპირატესობას არასამხედრო საშუალებებს ანიჭებენ თავიანთი სტრატეგიული ამოცანის მიღწევაში, რაც სახელმწიფოს საფუძვლის შერყევას გულისხმობს, რის შედეგადაც სამხედრო საშუალებების გამოყენება ან აღარ არის საჭირო ან ნაკლებ რელევანტურია.

„გერასიმოვის დოქტრინა“

გერასიმოვის სტატიას, რომელიც 2013 წლის 27 თებერვალს ნაკლებად ცნობილ გაზეთ „სამხედრო-სამრეწველო კურიერში“ გამოქვეყნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრემლის მიერ წარმოებული ახალი ტიპის ომის გასაგებად, რომელსაც სამხედრო კამპანიას, კლასიკური მნიშვნელობით, ვერ უწოდებ. დაემთხვა რა მისი გამოქვეყნება დროში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას, რომლის დროსაც რუსი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ფსევდო-არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური ცენტრები, ამოსაცნობი ნიშნების არმქონე სამხედროები, სამთავრობო უწყებები და პარლამენტი საერთო მიზნის მისაღწევად ერთსა და იმავე სცენარით მოქმედებდნენ,[21] ამ სტატიაში აშკარად არის ჩამოყალიბებული რუსეთის

20 How the NATO’s Article 5 works, The Economist, March 9, 2015
21 Coalson, R., Top Russian General Lays Bare Putin’s Plan for Ukraine, The World Post, September 2 2014

ომის ხასიათის ცვლილების არსი. იგი განმარტავს არა უბრალოდ „უნიტარული სახელმწიფოს“ ეფექტიანობას ეროვნული ძალაუფლების ყველა ინსტრუმენტის მობილიზებაში, არამედ ომის შეცვლილი წესების არსს რუსული თვალთახედვიდან.

არაბული გაზაფხულიდან მიღებული გაკვეთილების გაანალიზების გზით, გერასიმოვი განმარტავს, როგორ შეიცვალა „ომის წესები“ და როგორ შეიძლება, „საკმაოდ წარმატებული სახელმწიფო რამდენიმე თვესა თუ დღეშიც კი, იქცეს მძაფრი შეიარაღებული კონფლიქტის არენად, უცხოური ინტერვენციის მსხვერპლად და ჩაიძიროს ქაოსში, ჰუმანიტარულ კატასტროფასა და სამოქალაქო ომში“.[22] ამის მისაღწევად არ არის აუცილებელი უხეში ძალის ინსტრუმენტების გამოყენება, არამედ საჭიროა პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ზომების გატარება მოსახლეობის პოტენციურად საპროტესტო სეგმენტთან მჭიდრო კოორდინაციაში.[23] არაბული გაზაფხულიდან ნასწავლი გაკვეთილების განმარტების მეშვეობით, გერასიმოვი აღწერს ქმედებების თანმიმდევრობას უკრაინაში და მკაფიოდ ასაბუთებს ამ ტიპის ოპერაციების მიზნებს. გერასიმოვის თანახმად, ასეთი ოპერაციების სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს „მუდმივმოქმედი ფრონტის შექმნა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე“.[24] ან, თუ სხვა სიტყვებით ვიტყვით, ქაოსის შექმნა, რომელიც მოწინააღმდეგეს ქმედუუნარო სახელმწიფოდ აქცევს. ამით შეიძლება აიხსნას რუსეთის სტრატეგია პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რომლის მთავარი მიზანი „არალოიალური მეზობლების“ ქმედუუნარო სახელმწიფო წარმონაქმნებად გადაქცევაა მათი სახელმწიფოებრიობის საფუძვლების მორყევის გზით.

გერასიმოვის ცენტრალური დოქტრინის არსი ეფუძნება იდეას, რომლის თანახმადაც თანამედროვე ომში ბრძოლის მთავარ სამიზნეს გონება წარმოადგენს და შესაბამისად, თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში

22 Galeotti, M., The ‘Gerasimov Doctrine’ and Russian Non-linear War, 2014
23 იქვე.
24 იქვე.

დომინანტური ადგილი საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს ეთმობა.[25] ეს ინსტრუმენტები ყველაზე ეფექტიანი მტრის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა და მშვიდობიანი მოსახლეობის მორალურ და ფსიქოლოგიურ გატეხვაშია, რის შედეგადაც უხეში ძალის ინსტრუმენტების გამოყენება აღარ არის საჭირო. ლატვიის ეროვნული სამხედრო აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად „მთავარი ამოცანა არის სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმამდე შემცირება იმით, რომ ოპონენტის სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობას უბიძგო, მხარი დაუჭიროს თავდამსხმელს საკუთარი ხელისუფლების და ქვეყნის საზიანოდ“.[26] რუსეთის სამხედრო ოპერაცია ყირიმში მკაფიო დასტურია იმისა, თუ როგორ შეიძლება გატეხო მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების მორალური სული ისე, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდეს უხეში ძალის გამოყენების გარეშე.

„გერასიმოვის დოქტრინის“ არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია პერმანენტული ომის ცნება, ვინაიდან ის მუდმივი მტრის იდეას გამოხატავს.[27] მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის ხელმძღვანელობისთვის მტერი არც უკრაინაა და არც საქართველო, არამედ თავისუფალი სამყარო მისი ღირებულებებით, იდეოლოგიით, პოლიტიკური სისტემითა და უსაფრთხოების დამკვიდრებული არქიტექტურით. შესაბამისად, რუსეთის მთავარი ამოცანაა, შეარყიოს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს მიღწევები იმით, რომ ეჭვის ქვეშ დააყენოს აშშ-ის როლი ევრო-ატლანტიკური გაფართოებული უსაფრთხოების არქიტექტურაში. სწორედ ამ უმთავრესი ამოცანით აიხსნება იმ ტრანსფორმაციის ბუნება, რომლებზეც გერასიმოვი საუბრობს თანამედროვე ომის ცვალებადი ნიშნების დახასიათებისას. ხანგრძლივი კონფლიქტის წარმოება მოითხოვს ომსა და მშვიდობას შორის ზღვარის მიზანმიმართულ გაბუნდოვანებას, რადგან ეს რუსეთის ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს, პირდაპირი და ღია

25 Berzins, J., Russia’s New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014 წლის აპრილი.
26 იქვე.
27 იქვე.

სამხედრო ინტერვენციის გარეშე დაამხოს მის სამეზობლოში არსებული პროდასავლური მთავრობები. სტრატეგიული ამოცანების მიღწევაში არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობაზე სულ უფრო მეტი კონცენტრირება მოსკოვს საშუალებას აძლევს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტების გადაწყვეტილების მიღების სისტემები, რომლებიც არ არიან ისე მოწყობილი, რომ უსაფრთხოების ანონიმურ საფრთხეებს გაუმკლავდნენ. ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებების სულ უფრო აქტიური გამოყენება რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, აწარმოოს უარყოფის კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მისი სამხედრო ჩართულობის მასშტაბის შენიღბვას. თანამედროვე ომის წარმოების ყველა ეს მახასიათებელი ეხმარება რუსეთს, შეარყიოს აშშ-ის როლი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში.

გერასიმოვის სტატიაში ბევრი მნიშვნელოვანი იდეაა, რომლებიც ძალიან საინტერესოა სამხედრო სპეციალისტებისთვის და უფრო ყოვლისმომცველ გაანალიზებას საჭიროებს. წინამდებარე ნაშრომში გამოკვეთილი იდეები კი იმ მეთოდებს განმარტავს, რომლებსაც რუსეთის ხელმძღვანელობა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სუვერენიტეტის და საიმედოობის დასასუსტებლად იყენებს სრულმასშტაბიანი, ღია სამხედრო ინტერვენციის გარეშე. ესენი დღეს საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს და შესაბამისად, ამ გამოწვევების გაანალიზება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად. სახელმწიფოებრიობის შესარყევად არასამხედრო საშუალებების გამოყენების საფრთხე და მათთან გამკლავების გზები მომდევნო თავში არის დეტალურად გაანალიზებული.

შედეგები საქართველოსთვის

კავკასიის რეგიონული დინამიკა მნიშვნელოვნად შეცვალა ორმა ტენდენციამ - რუსეთის მხრიდან არასამხედრო საშუალებების აქტიურად

გამოყენებამ მოწინააღმდეგის დასასუსტებლად და საქართველოს ახალი ხელისუფლების საკუთარმა „გადატვირთვის პოლიტიკამ“. 2012 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, თბილისის გაცხადებული მიზანი მოსკოვთან ორმხრივ ურთიერთობებში დაძაბულობის შენელება იყო ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული კავშირების ნორმალიზების გზით. თუმცა, გასარკვევია, საქართველოს შეცვლილი პოლიტიკით ქვეყანა უფრო დაცული ხდება თუ უფრო მოწყვლადი იმ ტრანსფორმირებადი ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება მის სამეზობლოში იყენებს. საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელი გამოკითხვები, რომლებიც აშშ-ის ინსტიტუტებმა - ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა და საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა ჩაატარეს, ისევე როგორც ეკონომიკური ინდიკატორები, აშკარად აჩვენებს, რომ თბილისის მიერ პოლიტიკური ხაზის შეცვლამ საქართველო უფრო დაუცველი გახადა ჰიბრიდული საფრთხეების და რუსეთის ეკონომიკური ბერკეტების მიმართ.

შესამჩნევი ცვლილებები აღინიშნება სამი მიმართულებით: საქართველოს მზარდი დამოკიდებულება რუსეთის პოლიტიზებულ ბაზარზე; საჯარო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობის მნიშვნელოვანი კლება; და პრო-რუსული სენტიმენტების შესამჩნევი მატება ფართო საზოგადოებაში, რაც შესაძლებლობას აძლევს ღიად პრო-რუსულ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს საშინაო პოლიტიკის მეინსტრიმული პოლიტიკური დისკურსის ნაწილი გახდნენ. ამ ცვლილებებმა საქართველო უფრო დაუქვემდებარა რუსულ გავლენას და რაც მთავარია, თბილისი მნიშვნელოვნად გააშიშვლა ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე.

საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკამ შეცვალა წლების წინ დამკვიდრებული ოფიციალური პოლიტიკური ხაზი, რომელიც რუსეთზე ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებისკენ იყო მიმართული. 2012 წლის შემდეგ, მცდელობამ, მომხდარიყო პოლიტიკური კონფლიქტის გამიჯვნა ეკონომიკური ურთიერთობისგან,

მნიშვნელოვნად გაზარდა რუსეთის ბაზრის წილი საქართველოს მთლიან ვაჭრობაში. რუსეთში საქართველოს პროდუქტების ექსპორტმა, რომელიც 2012 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა, 2015 წელს 10%-ს მიაღწია.[28] 2013 წელს, ქართულ პროდუქციაზე რუსეთის ემბარგოს გაუქმების შემდეგ, საქართველოს ექსპორტი რუსეთში გაოთხმაგდა და 2012 წლის 45.8 მილიონი აშშ დოლარიდან 2013 წელს 190.3 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, შემდეგ კი, 2014 წელს, 274 მილიონ აშშ დოლარამდე.[29] თუმცა, რუსეთის ბაზრის ხელმისაწვდომობას თავისი ფასი აქვს. ქართველი მწარმოებლები სულ უფრო დამოკიდებული გახდნენ პოლიტიზებულ რუსულ ბაზარზე, რაც მოსკოვს საშუალებას აძლევს, გააძლიეროს ზეწოლის ბერკეტი თბილისზე. ეს ახალი ეკონომიკური რეალიები რუსეთს მნიშვნელოვან ძალაუფლებას აძლევს, ზეწოლა მოახდინოს საქართველოზე ეკონომიკური საშუალებებით, როგორც ეს 2006 წელს ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე ემბარგოს დაწესებით გააკეთა.

საქართველოს მზარდი დამოკიდებულება რუსეთზე მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს საშინაო პოლიტიკასა და საგარეო ურთიერთობებში. 2015 წლის 25 იანვარს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა აშშ-ში ვიზიტის დროს არაორაზროვნად აღნიშნა, რომ საქართველომ შეაჩერა რუსეთთან არაფორმალური დიალოგი ვაჭრობაზე. მოსკოვთან კომერციული კავშირების შემდგომი გაგრძელების ნეგატიურ შედეგებზე შეშფოთება მან თავისი განცხადებით გამოხატა: „ჩვენ ამ ბაზარს ხაფანგად აღვიქვამთ. ეს ძალიან არაპროგნოზირებადი ბაზარია. რუსეთს ნებისმიერ მომენტში შეუძლია, ისევ დააწესოს ემბარგო“.[30] ბერუჩაშვილის ამ განცხადებამ ადგილობრივი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ოფიციალური თბილისი სასწრაფოდ გაემიჯნა საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას და სოფლის მეურნეების მინისტრმა

28 Kapanadze, S. Georgia’s Vulnerability to to Russian Pressure Points. European Council on Foreign Relations. 2014.
29 იქვე.
30 Johnson, L. Georgian Foreign Minister Says South Ossetia Could be Annexed Like Crimea, Radio Free Europe, January 29, 2015

დანელიამ საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვები ჟურნალისტებთან მისი არასწორი კომუნიკაციით ახსნა. გარდა ამისა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობის ხაზგასმისას, დანელიამ გაიმეორა საქართველოს ხელისუფლების მანტრა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გამიჯვნის შესახებ.[31] როგორც მოსალოდნელი იყო, საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი თავდაპირველი პოზიციიდან უკან დაიხია. ეს ეპიზოდი ორ საგანგაშო ტენდენციას აჩვენებს საქართველოს პოლიტიკაში. პირველი, საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს თავისი ხაზის გატარებას მიუხედავად იმისა, რომ სრულად ათვითცნობიერებს რისკებს, რომლებიც მოსკოვისთვის დამატებითი ბერკეტების მიცემას ახლავს. საქართველოს პოლიტიკის განმსაზღვრელები უნებლიედ კი არ ებმებიან ხაფანგში, არამედ ასეთ არჩევანს შეგნებულად აკეთებენ. მეორე, ეს ეპიზოდი აშკარად აჩვენებს სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტის უუნარობას. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას საგარეო პოლიტიკის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრი ეჭვის ქვეშ აყენებს, არ უნდა გაგვიკვირდეს ინსტიტუტის სანდოობის შერყევა საერთაშორისო პარტნიორებისა და ქვეყნის ფართო საზოგადოების თვალში.

2013 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და მინერალურ წყლებზე ყველა შეზღუდვის მოხსნით, რუსეთმა შეძლო საქართველოს ეკონომიკის მის ბაზარზე ისევ მიბმა. ბაზრის მიმზიდველობის უპირატესობის სრულად გამოყენება უბრალოდ რუსული სტრატეგიის ერთი ელემენტია. ამასთან ერთად, რუსეთმა შესაძლებელია მის არსენალში არსებული კიდევ ერთი მძლავრი ინსტრუმენტი გამოიყენოს - სრულად გააუქმოს არსებული სავიზო მოთხოვნები საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს რუსეთის შრომის ბაზარს გახსნის საქართველოს მოქალაქეებისთვის და უდავოდ გააძლიერებს მისი რბილი ძალის გავლენას საქართველოს მოსახლეობაზე. ამ ორი ფაქტორის კომბინაცია - საქონლისა და სამუშაო ძალის ნაკადებისთვის კარის გახსნა - შესაძლოა გარდამტეხი აღმოჩნდეს რუსეთის მიმართ საქართველოს მოქალაქეების,

31 New Post, 25 იანვარი, 2015. http://newposts.ge/?l=G&id=63616

განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები სეგმენტის დამოკიდებულების ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ ტრანსფორმირებაში. ეს ტენდეცია, როგორც საქართველოს ახალი ხელისუფლების „რუსეთთან გადატვირთვის“ პოლიტიკის გვერდითი ეფექტი, უკვე შესამჩნევია და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელ გამოკითხვებში გამოჩნდა.

რუსეთის მიერ ჰიბრიდული საშუალებების ყირიმში წარმატებით გამოყენებას ნაწილობრივ უკრაინის ინსტიტუტების სისუსტემ შეუწყო ხელი. რადგან ჰიბრიდული საშუალებების მიზანი სამხედრო საშუალებების სრულ გამოყენებამდე სახელმწიფოს დასუსტებაა, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერე დამატებით მნიშვნელობას იძენს არასწორხაზოვან საფრთხეებთან გამკლავებაში. ბოლოდროინდელი ტენდენციები, რომლებიც საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევებში გამოვლინდა (იხილეთ დიაგრამა ქვემოთ), აშკარად მიუთითებს ყველა ინსტიტუტის მიმართ ნდობის მნიშვნელოვან კლებაზე საქართველოში. სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირება ნიშნავს ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ იმუნური სისტემის დასუსტებას. ამ საგანგაშო ტენდენციის მიზეზებს გაანალიზება სჭირდება, რათა მოხდეს ამ უკიდურესად სახიფათო ვითარების შემობრუნება. კვლევის კიდევ ერთ საგანს წარმოადგენს ნდობის ასეთი კლების მიზეზების გარკვევა - ეს კლება გამომდინარეობს იქიდან, რომ საზოგადოებაში იზრდება არაფორმალური და არაანგარიშვალდებული მმართველობის აღქმა თუ სახელმწიფო ინსტიტუტების უუნარობიდან, მოაგვაროს მოსახლეობის ყველაზე მწვავე პრობლემები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი არის ის, რომ საქართველო უფრო დაუცველი სდება ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე, რადგან მოსახლეობის ნდობის კლება სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ შესაძლებელს ხდის შემდგომ დესტაბილიზაციას და არასწორხაზოვანი მეთოდების გამოყენებას გარე აქტორების მიერ.

დიაგრამა 1. ნდობა ინსტიტუტების მიმართ (2015 წლის თებერვალი). ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვა, 2015 წლის აპრილი.



ასევე შემაშფოთებელია ბოლო დროის ტენდენცია, რომელიც გამოიხატება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების შესამჩნევი გააქტიურებით საქართველოში, რომლებსაც გამოხატული პრო-რუსული ნარატივი აქვთ. რუსული ნარატივის ქართულ მეინსტრიმულ პოლიტიკურ დისკურსში ჩართვა შედარებით ახალი ფენომენია. 9 მაისის აღნიშვნა გორში, რომლის დროსაც ათასობით ქართველმა აქცია მოაწყო საბჭოთა კავშირის და რუსეთის დროშებით და მოსკოვის მიერ მართული ევრაზიული კავშირის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ზრდა, პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებული საინფორმაციო კამპანიების ზეგავლენის ზრდის მხოლოდ პირველი ნიშნებია. ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდნების 31%-მდე

მატება[32] აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ პრო-რუსული ნარატივი მეინსტრიმული პოლიტიკური დისკურსის შემადგენელი ნაწილი გახდა, რომელმაც ამომრჩეველთა სოლიდური ბაზა მოიპოვა საქართველოში. გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებმა კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია გამოავლინა - საქართველოს მოსახლეობის 20% რეგულარულად უყურებს ახალ ამბებს უცხო ქვეყნების სატელევიზიო არხებზე და ამ სეგმენტის აბსოლუტური უმრავლესობა რუსულ ტელეარხებს ანიჭებს უპირატესობას.[33] რუსული ტელეარხების სარედაქციო პოლიტიკის გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს რუსული ნარატივის მომძლავრება ქართულ საჯარო სივრცეში. შესაბამისად, გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ, არის პრო-რუსული ელექტორატის თვალნათელი ფორმირება, რომელიც გამოყენებული იქნება არასამხედრო ხასიათის ჰიბრიდული საფრთხეების წარმატებული რეალიზებისთვის. მართლაც, როგორც გერასიმოვმა აღნიშნა, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მოსკოვს არ სჭირდება უხეში ძალის ინსტრუმენტები; პოლიტიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობის პოტენციურ საპროტესტო სეგმენტთან მჭიდრო კოორდინირებაში უკეთ მოემსახურება რუსეთის პოლიტიკურ ამოცანებს.

32 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევები, 2015 წლის აპრილი.
33 იქვე.

დიაგრამა 2. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგები, 2015.



ამრიგად, რუსეთის ბაზარზე საქართველოს მზარდი დამოკიდებულება, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობის შესამჩნევი კლება და პრო-რუსული ნარატივის მეინსტრიმულ პოლიტიკურ დისკურსში ჩართვა მნიშვნელოვნად ასუსტებს საქართველოს იმუნურ სისტემას ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ. ეს პროცესები საქართველოს უფრო მგრძნობიარეს ხდის მზარდი რუსული გავლენის და უფრო დაუცველს ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე, რომელთა მთავარი არსი მოწინააღმდეგეთა რბილი, არასამხედრო საშუალებებით დასუსტებაში მდგომარეობს. თუ მოვლენათა განვითარების ეს მიმართულება არ შემობრუნდა, არავის უნდა გაუკვირდეს რუსეთის

სტრატეგიული წარმატება რეგიონში. ის, რის მიღწევაც მოსკოვმა 2008 წელს სამხედრო გზით ვერ შეძლო, არასამხედრო მეთოდების ეფექტიანი გამოყენებით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ეკონომიკური შედეგები საქართველოსთვის

სავაჭრო და ფინანსური არხები

რუსეთთან საქართველოს ეკონომიკური კავშირები ყველაზე ძლიერი ვაჭრობის და ფულადი გზავნილების არხების მეშვეობით არის (დიაგრამა 3). 2014 წელს რუსეთი საქართველოს სიდიდით მესამე სავაჭრო პარტნიორი იყო და მისი წილი მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 7.4%-ს შეადგენდა. ქართული პროდუქციისთვის რუსეთი სიდიდით მესამე საექსპორტო ბაზარი იყო, სადაც 274.5 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის ექსპორტირება მოხდა, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 9.6%-ა. რუსეთი ასევე იყო საქართველოში სიდიდით მეოთხე იმპორტიორი ქვეყანა, რომელმაც 575.4 მილიონი აშშ დოლარის იმპორტი განახორციელა, რაც საქართველოს მთლიანი იმპორტის 6.7%-ს შეადგენს. რუსეთში მიმდინარე კრიზისი ორმხრივ ვაჭრობას უკვე დაეტყო. 2015 წლის იანვარ-სექტემბერში, ქართული ექსპორტი რუსეთში შემცირდა აბსოლუტურ ღირებულებაში, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში 7%-მდე დაეცა.[34] რუსეთიდან იმპორტი აღმავალ ტენდენციას აჩვენებდა და 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10%-ით გაიზარდა. რუსული რუბლის გაუფასურების მასშტაბის (100%-ზე მეტით) გათვალისწინებით, 10%-იანი ზრდა ძალიან მოკრძალებული მაჩვენებელია და შეიძლება მხოლოდ ქართული ლარის პარალელური, 30%-იანი გაუფასურებით აიხსნას. მოსალოდნელია, რომ რუსული იმპორტი მეტ-ნაკლებად იმავე დონეზე დარჩება, რადგან მის მიმზიდველობას (უფრო იაფი ფასი) აბალანსებს ქართული ლარის შედარებით დაბალი ფასი, რომლის სტაბილიზებასაც აშშ დოლართან

34 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საგარეო ვაჭრობა. www.geostat.ge

შეფარდებით 2:1-ის დონეზე მოელიან. გაუფასურებული ლარი შეამცირებს ქართველი მომხმარებლების მადას იმპორტირებული პროდუქტების მიმართ.

დიაგრამა 3. კავკასიის და ცენტრალური აზიის კავშირები რუსეთთან.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.



Source: IMF staff calculations.
Note: Gas/energy imports from Russia are scaled by country's energy consumption; other variables are scaled by GDP. FDI = foreign direct investment.
1 Including subsidaries and branches.
2 Indicates gas exporter to Russia

სავაჭრო კავშირების მეშვეობით საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების უგულებელყოფა არ უნდა მოხდეს. რუსეთის ხელისუფლებას ამ ბერკეტის ორგვარად გამოყენება შეუძლია - კიდევ ერთი ემბარგოს დაწესებით ან სავაჭრო პირობების გაუარესებით, რასაც ევრაზიული საბაჟო კავშირის ჩარჩოში ახალი სავაჭრო შეზღუდვების დაწესებით განახორციელებს. სანამ საქართველოს ამჟამინდელი ნეიტრალური პოლიტიკური პოზიცია ეკავება რუსეთსა და დასავლეთს შორის, ქართულ პროდუქტებზე ემბარგოს დაწესება არ არის მოსალოდნელი. თუმცა, რუსეთის ეკონომიკური ზრდის შენელება

თუ გაგრძელდა მასზე დაწესებული სანქციებისა და ნავთობზე ფასების ვარდნის შედეგად, ეს ბუნებრივად გამოიწვევს რუსეთში ექსპორტის შემცირებას. რუსეთის ეკონომიკური პროგნოზი არასახარბიელოა - ეკონომიკური დაღმასვლა გრძელდება, ხოლო ეკონომიკა (მშპ) 2015 წელს 3,8%ით შემცირდება.[35] საქართველოს ექსპორტი, რა თქმა უნდა, რუსეთის მთლიანი იმპორტის უმნიშვნელო წილს შეადგენს (დაახლოებით 0.1%-ს) და ძირითადად ღვინის, ახალი ხილისა და საკვები პროდუქტებით არის წარმოდგენილი, ანუ ისეთი პროდუქტებით, რომლებიც არ არის ძალზე სენსიტიური კრიზისის მიმართ. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის მიერ აკრძალვის დაწესებას ევროკავშირის ქვეყნებიდან საკვები პროდუქტების იმპორტზე, ქართულმა ექსპორტმა ნაკლები ზეწოლა უნდა იგრძნოს. თუმცა, ეკონომიკური კრიზისი თუ იმდენად გაღრმავდა, რომ რიგით რუსებს „საოჯახო სასურსათო კალათის“ გადახედვა მოუწიათ, ქართველ ექსპორტიორებსაც მოუხდებათ სამიზნე ბაზრების გადახედვა.

რუსეთში ქართული ექსპორტის შემცირების კიდევ ერთ საფრთხეს ახლად შექმნილი ევრაზიული საბაჟო კავშირი წარმოადგენს. ეს კავშირი ჯერ არ არის სრულად ამოქმედებული, მაგრამ 2011 წელს არაწევრი ქვეყნებისთვის შემოღებული გამკაცრებული სასაზღვრო კონტროლი უკვე გამოიხატა იმპორტის შემცირებით რუსეთის არაწევრი მეზობელი ქვეყნებიდან. მონაცემების მიხედვით, 2012 წელს იმპორტი აზერბაიჯანიდან 1.4%-ით შემცირდა, ყირგიზეთიდან 33.4%-ით, ტაჯიკეთიდან 24.2%-ით, უზბეკეთიდან 25.1%-ით და უკრაინიდან 10.7%-ით.[36] ეკონომიკური ხედვის გარდა, საბაჟო კავშირს მკაფიო პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს და მას კრემლი ადგენს, რომელიც საკუთარი გავლენის სფეროში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ხელახლა მოქცევას ითვალისწინებს.

საქართველოსთვის რუსეთი ფულადი გზავნილების უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა; ამ არხით 2000 წლიდან შემოსულმა კაპიტალმა

35 Regional Economic Outlook. October 2015. International Monetary Fund.http://www.imf.org/external/pubs/ft/reo/2015/mcd/eng/pdf/cca1015.pdf
36 The Eurasian Customs Union: The Economics and the Politics. European Union Institute for Security Studies. March, 2014. http://www.iss.europa.eu/uploads/media/Brief_11_Eurasian_Union.pdf

5.936 მილიარდი აშშ დოლარი შეადგენა. ფულადი გზავნილები ასევე ის მთავარი არხია, რომლის გავლითაც რუსეთის შოკები საქართველოს და კავკასიის და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებს გადმოეცემა. 2014 წელს, რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხულმა ფულადმა გზავნილებმა 709.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი გზავნილების ნახევარია. 2015 წელს საქართველოში შემოსული მთლიანი ფულადი გზავნილების მკვეთრი კლება აღინიშნა, განსაკუთრებით იმ გზავნილების, რომლებიც რუსეთიდან შემოდიოდა. რუსეთიდან გადმორიცხვები 41%-ით შემცირდა, რაც ფულად გამოსახულებაში 322 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ეს რუსული რუბლის გაუფასურების და ასევე, ეკონომიკური კრიზისის გამო, სამუშაო ადგილების დაკარგვის შედეგია.

2006 წელს რუსეთიდან ქართველების მასობრივი დეპორტაციის მიუხედავად, დეპორტირების გაცემული ბრძანების საერთო რაოდენობა (დაახლოებით 4,500) და შემდგომ დეპორტირებულთა რაოდენობა (თითქმის 2,300) ზღვაში წვეთი იყო რუსეთში ქართული დიასპორის მთლიან რაოდენობასთან შეფარდებით (სხვადასხვა გათვლით, 1 მილიონამდე ადამიანი) და შესაბამისად, მას რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ფულად გზავნილებზე არ მოუხდენია. რეცესიის ბოლო ტალღა როცა დაიწყო, რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაზარდა ზეწოლა მიგრანტ მშრომელებზე იმით, რომ ახალი რეგულაციები და გამოცდები შემოიღო რუსეთში ლეგალურად დარჩენისა და მუშაობის მსურველთათვის. მიგრანტთა ასოციაციების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ რუბლის გაუფასურებასთან ერთად უფრო მკაცრი და ძვირი რეგულაციების შემოღება ბევრ მიგრანტს უბიძგებს, ქვეყანა დატოვოს. რუსეთში ქართველი მიგრანტების დიდი რაოდენობა საქართველოს მოწყვლადს ხდის უმუშევრობის და სოციალური დაძაბულობის ზრდის რისკების წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მიგრანტებს აიძულებენ, დატოვონ რუსეთი და სამშობლოში დაბრუნდნენ. მეორე მხრივ, ფულადი გზავნილები გავლენას ახდენს მოხმარების დონეზე, ინვესტიციებისა და საბანკო დეპოზიტების მოცულობაზე საქართველოში. რუსეთიდან ფულადი გზავნილები

მომდევნო წლებშიც, სავარაუდოდ, უაღრესად მნიშვნელოვანი დარჩება მოსახელობის დიდი ნაწილისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთადერთი მნიშვნელოვანი წყარო, ამ ნაკადების მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება არ უნდა მოხდეს.

რაც შეეხება რუსული აქტივების არსებობას საქართველოსა და მთლიანად რეგიონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების თანახმად, ზოგ ქვეყანაში რუსეთიდან პირდაპირი ქვეყანათაშორისი დაკრედიტების წილი შედარებით მცირეა, ხოლო რუსული ბანკების აქტივების წილი მნიშვნელოვანი. მაგალითად, სხვა ქვეყნებს შორის, „ვითიბი ბანკს“ ფილიალები საქართველოშიც აქვს.

ენერგეტიკული კავშირები

რუსეთის „ენერგოიმპერიის“ ერთ-ერთი ძირეული ელემენტი იყო მონოპოლია ევროპის ბაზრების მომარაგებაზე არა მხოლოდ რუსული, არამედ კასპიური და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებით. სწორედ ამიტომ ეწინააღმდეგებოდა მოსკოვი კავკასიის გავლით ალტერნატიული სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობას კასპიის და პოტენციურად, ცენტრალური აზიის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენები რეალობად იქცა. თუმცა, რუსეთმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია ნაბუქოს პროექტის გაჩერებაში, რომელიც მოიაზრებოდა, როგორც ბაქო-თბილისი-ერზრუმის ხაზის გაგრძელება დასავლეთისკენ, ცენტრალურ ევროპამდე და აღმოსავლეთისკენ, თურქმენეთამდე კასპიის ზღვის გავლით.

ნაბუქოს პროექტის ჩავარდნის მიუხედავად, საქართველო უკვე აღიარებულია როგორც აბრეშუმის გზის აღმოსავლეთ-

დასავლეთის დერეფნის კიდევ ერთი სატრანზიტო ჰაბი არა მხოლოდ ენერგორესურსებისთვის, არამედ სხვა ტიპის ტვირთებისთვის. ცოტა ხნის წინ, რუსეთის უმსხვილესმა სახელმწიფო ნავთობკომპანიამ, „როსნეფტმა“, ინტერესი გამოხატა საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობების მიმართ და 2014 წლის დეკემებრში „პეტროკას ენერჯი ჯგუფის“ აქციათა 49% შეიძინა.[37] ჯერ ადრეა იმაზე მსჯელობა, ეს უბრალოდ ღია ტიპის სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი პორტფოლიოს დივერსიფიცირების და განვითარებად ბაზრებში ინევსტირების კიდევ ერთი მცდელობა იყო, თუ ისეთი ქვეყნის სტრატეგიულ სფეროში ინვესტირების მცდელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის უკანა ეზოდ მოიაზრება. „პეტროკასი“ნავთობის საცალო გაყიდვისა და ლოგისტიკურ ქსელს ფლობს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი არის ფოთის ნავთობტერმინალის თანამფლობელი. „პეტროკასი“ და „როსნეფტი“ აპირებენ ნავთობპროდუქტების სომხეთში ტრანსპორტირებას საქართველოს გავლით და საქართველოში ტვირთების ტრანზიტის გაზრდის ამბიციური გეგმები აქვთ. შორსმიმავალი მიზნების მიუხედავად, „როსნეფტი“ რთული პარტნიორია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე აშშ-ს სანქციები აქვს დაწესებული, არამედ იმიტომაც რომ ის არღვევს საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. 2009 წელს „როსნეფტმა“ხელშეკრულებაგააფორმა აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთან, რითიც უფლება მიიღო, გამოიკვლიოს შავი ზღვის სანაპიროს აფხაზეთის მონაკვეთი ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესაძლო საბადოების აღმოსაჩენად[38], რაც უკანონო ქმედებებს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოსა და რეგიონში რუსეთის ყოფნის გაძლიერების კიდევ ერთი საფრთხე საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივიდან მომდინარეობს, რომელიც ითვალისწინებს რუსული სახელმწიფო ენერგოგიგანტიდან, „გაზპრომიდან“, ბუნებრივი აირის მოწოდებული მოცულობების ზრდას. 2015 წლის ოქტომბერში, საქართველოს

37 როსნეფტი, 2014.
38 RFE/RL, Dec 2009

ვიცეპრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე „გაზპრომის“ მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსეი მილერს შეხვდა, რათა განეხილა საქართველოს გავლით რუსული გაზის ტრანზიტის საკითხები და ბუნებრივი აირის კომერციული მიწოდება ქვეყნისთვის.[39]

ამავე დროს, ზოგმა პოლიტიკოსმა ინტერესი გამოხატა ირანული გაზის მიმართ. ბატონმა კალაძემ განაცხადა, რომ ირანული გაზის მიღების დაწყება 2016 წელს იყო შესაძლებელი. მინისტრის თქმით, საქართველოს ირანული გაზის აზერბაიჯანის ან სომხეთის გავლით იმპორტირების გარდა სხვა ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე, დაადასტურა მზადყოფნა, მოთხოვნისთანავე გაზარდოს აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდებული მოცულობები და განაცხადა, რომ მის ქვეყანას საკმარისი რესურსები აქვს, რომ მეზობლები მომდევნო 100 წლის განმავლობაში მოამარაგოს.[40]

დღეს საქართველო ბუნებრივ აირს სამი სხვადასხვა წყაროდან იღებს. ბუნებრივი აირის საჭირო მარაგების უმეტეს ნაწილს მას აზერბაიჯანი აწვდის (აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „სოკარი“ და შაჰ-დენიზის ნავთობსადენი - ვინაიდან საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა, ის გაზს აზერბაიჯანიდან შეღავათიან ფასად ყიდულობს, თუმცა საბაზრო ფასად მარაგების გაზრდის შესაძლებლობა არსებობს), ხოლო „გაზპრომი“, ტრანზიტის საფასურის სახით, ქვეყანას იმ გაზის 10%-ს უტოვებს, რომელიც რუსეთიდან სომხეთს საქართველოში გამავალი გაზსადენით მიეწოდება.

39 Gazprom. Gazprom and Georgia Address Gas Transit and Supply Issues. October, 2015. http://www.gazprom.com/press/news/2015/october/article250035/

40 Natural Gas Europe. Russia-Iran: Azerbaijan's Gas Rivals in Georgia? http://www.naturalgaseurope.com/russia-iran-azerbaijans-gas-rivals-in-georgia-26295

ინფრასტრუქტურული პროექტები როგორც ქვეყნის სტრატეგიული ვექტორის ერთ-ერთი ნიშანი

ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის სატრანსპორტო და ენერგოპროექტები, ქვეყნის პრიორიტეტული ვექტორის და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ყველაზე მკაფიო ინდიკატორია. საქართველოს, როგორც პოტენციურ „რეგიონულ ჰაბს“, ეკონომიკური საქმიანობის ორი მთავარი მიმართულებითი ვექტორი აქვს: აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილო-სამხრეთის.

საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების შესაბამისი დეკლარირებული სტრატეგიული მიზნისთვის პრიორიტეტული აღმოსავლეთ-დასავლეთის ვექტორი უნდა იყოს. საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი მოლაპარაკებები რუსეთიდან და ირანიდან ბუნებრივი აირის მოწოდების გაზრდის თაობაზე, დეკლარირებული გზიდან გადახვევის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, ჩრდილო-სამხრეთი ვექტორი პოტენციურად შეიძლება ეკონომიკურად მომგებიანი მიმართულება იყოს, რადგან რუსეთის ევროპულ ნაწილის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, მაგრამ სერიოზული ეჭვები არსებობს რუსეთის ინტერესებთან დაკავშირებით, გამოიყენოს ეკონომიკური ბერკეტები საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების და ამბიციების მისაღწევად სამხრეთ კავკასიაში და მის მიღმა, ირანსა და ახლო აღმოსავლეთში.

გარდა ენერგეტიკის სფეროში მოსალოდნელი გარიგებებისა, რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალების რაოდენობის გაზრდითა და გაუმჯობესებით. უკვე წლებია, რაც მოსკოვი ცდილობს აფხაზეთის რკინიგზის აღორძინებას, ხოლო ცოტა ხნის წინ ახალი სატრანსპორტო პროექტის - დაღესტანი-კახეთის მაგისტრალის შესახებ გააკეთა განცხადება. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა საქართველოსთან დამაკავშირებელი მაგისტრალი მშენებლობა ოფიციალურ თბილისთან

წინასწარი განხილვებისა და შეთანხმების გარეშე დაიწყო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ამ გზის მშენებლობის პროექტის შესახებ 2008 წლის დასაწყისშიც გავრცელდა.[41] თუმცა, ამ ინფორმაციაზე რეაგირების ხასიათი საქართველოში ნეგატიურ და საეჭვოსა და თითქმის მისასალმებელს შორის მერყეობდა.[42] ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის გაზრდის შემთხვევაში, ეს მაგისტრალი, სხვა დამაკავშირებელი მაგისტრალებისგან განსხვავებით, სეპარატისტულ ტერიტორიებზე (ფსოუს მაგისტრალი, როკის გვირაბი) არ გადის და ამინდის პირობების გამო არ არის წლის საკმაოდ დიდი დროის მონაკვეთში ჩაკეტილი. ამრიგად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ შესაძლოა ის გამოყენებული იქნეს როგორც დაღესტნური საქონლის, ასევე სამხედრო აღჭურვილობის ტრანსპორტირებისთვის.

მთლიანობაში, რეგიონში სიტუაცია არ არის მშვიდი. რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფრონტაცია საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისა და ეკონომიკური ზრდისთვის მთელ რეგიონში. რეგიონის ორი წამყვანი ძალის - რუსეთისა და თურქეთის - მზარდი დაშორება დასავლური ღირებულებებისგან და საერთაშორისო თანამეგობრობისგან ასევე გრძელვადიან რისკებს შეიცავს რეგიონისთვის.

ეკონომიკური შედეგები - შეჯამება

ეკონომიკის რეცესია და შესაძლო პოლიტიკური არეულობა რუსეთში მალე არ დასრულდება. მოსალოდნელია, რომ იგი წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდება და საქართველოს და რეგიონის სხვა ქვეყნებზე სხვადასხვა ფორმით იმოქმედებს. მართალია, რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების ამეტაპზე რუსეთის მხრიდან ახალი ემბარგო

41 Vatchagaev, M., Planned Route from Dagestan to Georgia – Road of Friendship or of War? The Jamestown Foundation, 2014.
42 Georgia Today, 2014 წლის ოქტომბერი.

არ არის მოსალოდნელი, მაგრამ ქართველი ექსპორტიორები ბევრად უკეთ არიან ასეთი სცენარისთვის მომზადებული. დღეს, საქართველოს საექსპორტო საქონლის უმეტესობა უფრო დივერსიფიცირებულია და უკეთესი ხარისხისაა. თუმცა ეს ქართული ხილისა და მწვანილის ექსპორტს არ ეხება.

რუსეთის ეკონომიკის ხანგრძლივ რეცესიას უფრო დიდი გავლენა ექნება საქართველოზე, ვიდრე მოსალოდნელ ემბარგოს გარკვეული სახის პროდუქტებზე. რეცესია ვაჭრობის, განსაკუთრებით, ქართული ექსპორტის, ფულადი გზავნილების და ტურიზმის შემცირებას იწვევს. ეს სამივე პირდაპირ კავშირშია საქართველოს საგადასახდელო ბალანსთან და აქედან გამომდინარე, ლარის გაცვლის კურსთან. გასულ წელთან შედარებით, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან 40%-ით შემცირდა, ხოლო რუსეთიდან ფულადი გზავნილები - 45%-ით. გარდა ამისა, რუსულ რეცესიას დომინოს ეფექტი აქვს რეგიონში. უკრაინის გარდა კრიზისი სერიოზულ გავლენას ახდენს ცენტრალური აზიის ქვეყნების, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის მომხმარებლებსა და ინევსტორებზე.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ყურადღება უმეტესად უკრაინისა და მისი ევროკავშირ/ნატოს მისწრაფებებისკენ არის მიპყრობილი, საქართველო ვერ ჩაითვლება „უსაფრთხოდ“. ფაქტობრივად, ვერც ერთი ქვეყანა, რომელიც ეგრეთ წოდებული „რუსეთის გავლენის სფეროში“ მდებარეობს, ვერ იგრძნობს თავს დაცულად მოსკოვის მილიტარისტული და ტერიტორიული ექსპანსიონიზმისგან და მისი ეკონომიკური რეცესიის და მოსალოდნელი შიდა პოლიტიკური არეულობის გვერდითი ეფექტებისგან. რუსეთის მაღალჩინოსნების განცხადებებში კვლავ ისმის მუქარა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის მისამართით. მიუხედავად თბილისის შემრიგებლური რიტორიკისა, ძნელია იწინასწარმეტყველო, რამდე ხანს გასტანს ეს მყიფე ბალანსი და რამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესია რუსეთის მხრიდან.

დასკვნა/პოლიტიკის რეკომენდაციები

გლობალური უსაფრთხოების ბევრ იმ პრიორიტეტს შორის, რომელთა წინაშეც დემოკრატიული სამყარო დგას, ევროპული მომავლისთვის უმთავრესია მისი უსაფრთხოების გამოწვევების დაძლევა.

რევიზიონისტული რუსეთის აღმოცენებამ და სტრატეგიული და/ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ამ ქვეყნის მიერ ჰიბრიდული საშუალებების გამოყენებამ ექვქვეშ დააყენა ტრადიციული დასავლური იდეა მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შესახებ და ამ იდეის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტები - ნატო და ევროკავშირი.

არასამხედრო საშუალებების იარაღად ქცევა, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის „ახალი ფორმა“, ძირეულად ცვლის უსაფრთხოების, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლანდშაფტს და უამრავ კითხვას აჩენს არა მხოლოდ იმ საფრთხეების ბუნებაზე, რომელთა წინაშეც ვდგავართ, არამედ არსებული უსაფრთხოების ინსტიტუტებს შეასძლებლობაზე, გაუმკლავდეს ამ გამოწვევებს. მართალია, ჰიბრიდული ომის არც იდეა და არც არსი არ არის სრულებით ორიგინალური, მას ისეთი ნიშნები აქვს, რომლებიც ომის წარმოების რუსეთისეული ახალი თუ კარგად მივიწყებული ძველი მოდელისთვის არის დამახასიათებელი.

ამ საფრთხეების შეკავების და დაძლევისთვის საქართველომ და მისმა პარტნიორებმა კარგად კოორდინირებული და ერთიანი სტრატეგიული მიდგომა უნდა შეიმუშაონ მრავალი მიმართულებით:

- თავდაცვა და უსაფრთხოება;
- ეკონომიკა, ვაჭრობა და განვითარება;
- ენერგეტიკის დივერსიფიკაცია და ენერგოუსაფრთხოება;
- დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა;
- სტრატეგიული კომუნიკაცია და საკომუნიკაციო სტრატეგიები;
- განათლება და ხალხებს შორის ურთიერთობები.

ეს ძალისხმევა უნდა ემყარებოდეს მრავალმხრივ და ორმხრივ სტრატეგიულ პარტნიორობებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება სახელმწიფოს მართვის, ეკონომიკური განვითარების და ეროვნულ უსაფრთხოებისთვის ჰიბრიდული ხასიათის ახალი/ ძველი საფრთხეების და გამოწვევების შეფასებაზე, განსაზღვრავენ საერთო მიდგომებს და პოტენციალს მრავალმხრივი და ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობებისთვის, შეიმუშავებენ არგუმენტებს ერთობლივი მიდგომების კონსოლიდირებისთვის, დაადგენენ დღის წესრიგებს პროპაგანდასთან დასაპირისპირებლად და განსაზღვრავენ სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებლობას - პასუხს გასცემენ ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ მთავარ კითხვებზე: რატომ საქართველო? რატომ ახლა?

შესაბამისად, პოლიტიკის პრიორიტეტები ფოკუსირებული უნდა იყოს რამდენიმე მთავარ სფეროზე:

დემოკრატია და სახელმწიფოს მშენებლობა:

- გაძლიერდეს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის და სახელმწიფოს მშენებლობის ფუნდამენტურ საკითხებზე ეროვნული კონსენსუსის მშენებლობა, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ძალაუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისა და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების კოორდინირების ინსტიტუციონალიზებული და გამჭვირვალე მექანიზმები;
- განახლდეს ფოკუსირება კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოს, ეფექტიანი მმართველობის და უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებაზე;
- შეიქმნას და გაძლიერდეს ისეთი გარემო, რომელიც დაიცავს დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს, სიტყვის თავისუფლებას და ჟურნალისტიკას;

- გაძლიერდეს „პოლიტიკით ნაკარნახევი“ პოლიტიკა და სტაბილური პოლიტიკური პარტიები და არა პიროვნების თუ კლანის მიერ ნაკარნახევი პოლიტიკა;
- პროაქტიურად გამყარდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო დევნის შესახებ;
- გაძლიერდეს ღია, სამართლიანი და მიუკერძოებელი საარჩევნო გარემო, მათ შორის მედიის დამოუკიდებლობის დაცვა, რათა შეიქმნას პირობები სრულიად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის 2016 წელს (საპარლამენტო არჩევნები) და 2017 წელს (საპრეზიდენტო არჩევნები).

კარგი მმართველობა:

- გაძლიერდეს ძალისხმევა კორუფციის ყველა დონეზე დასამარცხებლად - მათ შორის მმართველობის მეტი გამჭვირვალობის და სადაც შესაძლებელია, ელექტრონული მმართველობის გამოყენების გზით;
- პროაქტიურად მოხდეს ევროპის გაფართოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და რეგულაციების მიღება ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ასოცირებამდეც კი;
- პროაქტიურად შემუშავდეს ინტეროპერაბელურობა ნატოსთან და ნატოს ოპერაციებსა და წვრთნებში მოონაწილეობა.

თავდაცვა და უსაფრთხოება:

- განხორციელდეს „საერთო სახელისუფლებო“ მიდგომა უსაფრთხოების საკითხების მიმართ;
- გაგრძელდეს რეფორმა, გაუმჯობესდეს შესაძლებლობები და ინტეროპერაბერულობა, ასევე, გამჭვირვალობა და კოორდინაცია თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორში;
- გაიზარდოს თავდაცვის, კონტრდაზვერვის და დაზვერვის

შესაძლებლობები; გაძლიერდეს სამართალდამცავთა ქმედებები რუსეთის ჰიბრიდული ომის აგენტების/აქტორების წინააღმდეგ;

- განხორციელდეს მონიტორინგი, საჯაროდ გამოვლინდეს და კონტრ-ნაბიჯები გადაიდგას რუსეთის მიერ ორგანიზებული კრიმინალური, სადაზვერვო, სამხედრო, კორუფციული და პროპაგანდისტული აქტივობების წინააღმდეგ;
- მოხდეს საგარეო ინვესტიციების სტიმულირება;
- ეფექტიანად განხორციელდეს ასოცირების შეთანხმება.

ეკონომიკა და ენერგეტიკა:

- გაგრძელდეს ბიზნესისთვის და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი გარემოს პოპულარიზაცია, რათა გაძლიერდეს საქართველოს ეკონომიკა და შენარჩუნდეს სასარგებლო კავშირები გლობალურ ეკონომიკასთან;
- შემცირდეს მოწყვლადი ეკონომიკა და ენერგოდამოკიდებულება.

კომუნიკაცია:

- გაიზარდოს მთავრობის წევრების და არჩეული პოლიტიკოსების პერსონალური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
- ასოცირების შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების განხორციელება იქცეს პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად;
- შემუშავდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებებთან, განსაკუთრებით, უმცირესობებისა და მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული მოუგვარებელი პრობლემებისთვის;
- მოხდეს რუსული მედიის ფაქტორთან დაპირისპირება ეფექტიანი სტრატეგიული საკომუნიკაციო პოლიტიკის გზით;
- გაიზარდოს პარლამენტის როლი პოლიტიკის განსაზღვრაში. სახალხო მხარდაჭერის კონსოლიდირებისთვის მოხდეს სტრატეგიული კომუნიკაციის ჰარმონიზება, მათ შორის, მუდმივი და აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება არსებული

საფრთხეების მიმდინარე კონტექსტის შესახებ; ასევე, რიგითი მოქალაქეებისთვის დასავლური არჩევანის სიკეთეების შესახებ;

- მხარი დაეჭიროს ინფორმაციის გავრცელების მუდმივ, კარგად ორგანიზებულ ქსელს (ორმხრივი, მრავალმხრივი, საერთაშორისო ორგანიზაციები), რათა პარტნიორებს მიეწოდოს მიმდინარე ინფორმაციის, დაზვერვის მასალები, ანალიზი და შეფასებები სჰიბრიდული ომის საფრთხეების, მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.